

დ ბ უ ლ ე ბ ა

ასოციაციაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების სპეციალური ფონდის შექმნისა და საქმიანობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების სპეციალური ფონდის (შემდგომში „ფონდი“) შექმნისა და საქმიანობის შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის“ (შემდგომში „ასოციაცია“) წესდებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) საფუძველზე.
2. დებულების ნორმები არეგულირებენ ფონდის შექმნის, მასში მატერიალური აქტივების აკუმულირებისა და განკარგვის წესებს.

მუხლი 2. ფონდის შექმნა და საქმიანობა

1. ფონდი იქმნება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.
2. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
 - ა) საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარებისთვის საჭირო სოციალურ-კულტურული, საგანმანათლებლო და მეცნიერული პროექტების მატერიალური უზრუნველყოფა;
 - ბ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა;
 - გ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს სრულყოფისათვის საჭირო სხვა საქმიანობის დაფინანსება.

თავი II

ფონდში შემავალი მატერიალური აქტივების კატეგორიები და ფორმირების წესი

მუხლი 3. მატერიალური აქტივების კატეგორიები

1. ფონდში აკუმულირდება შემდეგი კატეგორიის მატერიალური აქტივები:
 - ა) ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარი, რომელზეც წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებულ ნაწარმოებებზე და/ან დაცვის სხვა ობიექტებზე ვერ ხერხდება უფლებისმფლობელთა დადგენა;
 - ბ) ასოციაციის მიერ შეგროვებული, უცხოეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციების კუთვნილი ჰონორარი;
 - გ) მესამე პირების მიერ ასოციაციაში განხორციელებული შემოწირულობები.

მუხლი 4. მატერიალური აქტივების ფორმირება

1. ფონდში მატერიალური აქტივები ფორმირდება შემდეგი წესით:
 - ა) ამ დებულების მე-3 მუხლის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული, დაუდგენელ უფლებისმფლობელთა კუთვნილი ჰონორარი, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გადატანილ იქნას ფონდში, თუ ასეთ უფლებისმფლობელთა ნაწარმოებების გამოყენებიდან გასულია სამი წელი;
 - ბ) უცხოეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის კუთვნილი ჰონორარი ფონდში აკუმულირდება ასეთ ორგანიზაციასთან არსებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ პროპორციით, რაც მითითებულია ასეთ ხელშეკრულებაში, ხოლო ხელშეკრულებაში პროპორციის არარსებობის დროს, ასეთი პროპორცია დგინდება ასოციაციის გამგეობის მიერ;
 - გ) ამ მუხლის მიზნებისთვის მესამე პირად ითვლება ნებისმიერი, მათ შორის უცხო ქვეყნის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც ნებაყოფლობით ახორციელებს შენატანს ასოციაციაში, შენატანის განხორციელების საფუძვლის და მიზნის მიუხედავად.

2. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივები ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ ინახება სპეციალურ ბუღალტრულ ანგარიშზე.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი კატეგორიების გარდა, ასოციაციის მიერ, კანონისა და საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, შესაძლებელია განისაზღვროს ფონდში მატერიალური აქტივების აკუმულირების სხვა წესიც.

თავი III

ფონდში შემავალი მატერიალური აქტივების განკარგვის წესი

მუხლი 5. მატერიალური აქტივების განკარგვა

1. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივების განკარგვა ხორციელდება დებულების მე-3 მუხლში მითითებული მიზნების შესაბამისად.
2. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივების განკარგვის მიზნობრიობას, პერიოდულობას და ოდენობას განსაზღვრავს ასოციაციის გამგეობა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება, მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან წებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ასოციაციის წევრებისათვის.
3. ფონდის ფუნქციონირების დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის გამგეობის გადანყვეტილებებით.
4. დებულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა, ასევე მისი გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, რაც გამოიყენება დებულების მიღების დროს.

დამტკიცებულია ასოციაციის გამგეობის მიერ 13.01.2014 წელს